საქართველოს შეფასების ასოციაცია
GEORGIAN EVALUATION ASSOCIATION
GEA NEWS
კვარტალური გამოცემა შეფასების შესახებ
გაზაფხული 2009

ასოციაციის მიზნები:

მეორე წელია,რაც საქართველოს შეფასების ასოციაცია აქტიურად საქმიანობს დასახული მიზნების მისაღწევად:

- შეფასების, როგორც ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის აუცილებელი დარგის შექმნა და განვითარება;
- შემფასებელთა კვალიფიციური კადრების აღზრდისა და მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- შეფასების სტანდარტების დანერგვა;
- შემფასებელთა ქცევის კოდექსის შექმნა;
- შეფასების სფეროს მიმართ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება.

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, საჯარო ადმინისტრირების რეფორმის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული და მიმდინარე პროექტები

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), საჯარო ადმინისტრირების რეფორმის ფარგლებში, "საქართველოს შეფასების ასოციაციამ" განახორციელა პროექტები, რომელიც მიზნად ისახავდა სახელმწიფო ორგანიზაციებისთვის ტექნიკური დახმარების აღმოჩენას, კერძოდ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების სამწლიანი (2009-2011) სტრატეგიული გეგმებისა და ერთწლიანი (2009) სამოქმედო გეგმების შემუშავებას.

პროექტში მონაწილეობდა საერთაშორისო ექსპერტი ჯიმ ფრემინგი. პროექტის ფარგლებში სხვა მრავალ საქმიანობასთან ერთად განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

- ჩატარადა სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო შეხვედრები სამინისტროების თანამშრომლებთან;
- მომზადდა სამინისტროების სამწლიანი სტრატეგიული გეგმებისა და ერწლიანი სამოქმედო გეგმების სამუშაო ვარიანტები;
- ჩატარდა შეხვედრები დაინტერესებული მხარეებთან სამინისტროების სატრატეგიული გეგმების და სამოქმედო გეგმების სამშუაო ვერსიების განხილვის მიზნით. შეხვედრებზე გამოთქმული რეკომენდაციები და მოსაზრებები აისახა სტრატეგიული გეგმებისა და სამოქმედო გეგმების საბოლოო ვერსიებში;
- შემუშავდა სამინისტროების შიდამონიტორინგის სისტემა და შეფასების გეგმები.

ზემოაღნიშნული სამინისტროების სამწლიანი (2009-2011) სტრატეგიული გეგმებისა და დეპარტამენტების ერთწლიანი ინდივიდუალური სამოქმედო გეგემების შემუშავებასთან ერთად, პროექტის ფარგლებში განსაზღვრული იყო სამინისტროების შიდამონიტორინგის სიტემისა და შეფასების გეგმის ელემენტების შემოღება, რათა თანამშრომლებს შესაძლებლობა ჰქონოდათ თავად განეხორციელებინათ საკუთარი სტრატეგიული გეგმების მონიტორინგი.

სამინისტროებისთვის შიდამონიტორინგის სისტემისა და შეფასების გეგმების შემუშავების უზრუნველსაყოფად „საქართველოს შეფასების ასოციაციამ“ ჩაატარა არაერთი ტრენინგი, მონიტორინგის არსისა და მის მნიშვნელობის შესახებ, სამუშაო შეხვედრები და ინდივიდუალური კონსულტაციები სამინისტროს ხელმძღვანელებთან და თანამშრომლებთან; შეიმუშავა სამინისტროსათვის სტრატეგიის განხორციელებაზე მონიტორინგის გაწევის ძირითადი მექანიზმები (Tools) და, აგრეთვე, შეფასების გეგმა (Performance Monitoring Plan).

შიდამონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბებას წინ უსწრებდა სტრატეგიული გეგმის ფარგლებში განსაზღვრული თითოეული სტრატეგიული მიზნის, შედეგისა და სამოქმედო გეგმით გათვალსიწინებული საქმიანობების ინდიკატორების შემუშავება.

ინდიკატორების შემუშავების უზურნველსაყოფად „საქართველოს შეფასების ასოციაციამ“ სამინისტროს თანამშრომლებისთვის ჩაატარა ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრები და ტრენინგები, რომელიც მიზნად ისახავდა როგორც ზოგადად ინდიკატორების მნიშვნელობის და არსის გაცნობას, ასევე ინდიკატორების შემუშავებას სამინისტროს თანამშრომლების თანამონაწილეობით. აღნიშნულმა პროცესმა ხელი შეუწყო სამინისტროს თანამშრომლებს ინდიკატორების არსის, მნიშვნელობის გაცნობიერების და ინდიკატორების შემუშავების მიმართულებით უნარ-ჩვევების გაძლიერებაში.

პროექტის შემსრულებლები და პროექტში ჩართული მხარეები

პროექტის განხორციელების პროცესში მონაწილეობდნენ „საქართველოს შეფასების ასოციაცია“ და ასოციაციის მიერ მოწვეული ინდივიდუალური ექსპერტები. პროცესი მიმდინარეობდა ზემოხსენებული სამინისტროების ხელმძღვანელებისა და თანამშრომლების თანამონაწილეობით. აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში წამყვან ორგანიზაციას წარმოადგენდა PMCG.

მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიული გეგმის შემუშავება მიმდინარობდა სამინისტროების თანამშრომლების უშუალო მონაწილეობით, სტრატეგიული გეგმის სამუშაო ვარიანტების განხილვაში აქტიურად იყვნენ ჩართული სამინისტროების დაინტერესებული მხარეები. თითოეული სამინისტროს სტრატეგიული გეგმის განხილვის მიზნით იმართებოდა შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან. ამ სამუშაო შეხვედრებს ესწრებოდნენ სამავრობო და საზოგადოებრივი ორგანზიაციების, ბიზნესსტრუქტურებისა და მედიის წარმომადგენლები.

პროექტის ფარგლებში გამართული შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დარგობრივმა სამინისტროებმა (ფინანსთა და ეკონომიკის,სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობისა და

სოციალური დაცვის) საქმიანობით დაინტერესებულ მხარეებთან მრავალი სამუშაო შეხვედრა მოაწყვეს. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა:

- აჭარის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზემოაღნიშნული სამინისტროების 2009-2011 წლების სტრატეგიული გეგმის სამუშაო ვერსიის გაცნობა სხვა დარგობრივი სამინისტროების, ადგილობრივი ხელისუფლებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისთვის;
- იმ ეფექტური მექანიზმების გამოვლენა, რომელიც ხელს შეუწყობს დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობას ყოველი სამინისტროს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში;
- ამ სამინისტროებისათვის სტრატეგიული გეგმის შემდგომი დახვეწის მიზნით დაინტერესებული მხარეებისგან კომენტარების მიღება;
- სტრატეგიული გეგმის განხორიცლების დროს დაინტერესებული მხარეების ჩართულობის შესაძლებლობების და ფორმის შესახებ მოსაზრებების გაზიარება.

2009 წლის 21 მაისს ა/რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში 2 შეხვედრა გაიმართა სამინისტროს საქმიანობით დაინტერესებულ მიზნობრივ ჯგუფებთან: პირველი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა დარგობრივი სამინისტროების და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან და მეორე – არასამთავრობო სექტორთან.

სოფლის მეურნეობის სამინისტროში 4 შეხვედრა მოეწყო ძირითად მიზნობრივ ჯგუფებთან: 23 მაისს – ბიზნესწრეების წარმომადგენლებსა და ფერმერებთან, 23 მაისს – მუნიციპალიტეტის გამგებლებთან, გამგებლების თანაშემწეებსა და მუნიციპალიტეტში მთვარობის წარმომადგენლებთან, 25 მაისს – მთვარობის დარგობრივ წარმომადგენლებთან,უმაღლესი საბჭოს აგრარული კომიტეტის წევრებთან, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სპეციალისტებსა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს წარმომადგენლებთან და 25 მაისს – არსამათვარობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებთან. ამ შეხვედრებს დაახლოებით 70 დაინტერესებული პირი დაესწრო.

სემინარები, სამუშაო შეხვედრები და კონსულტაციები

იუსტიციის სამინისტროს საშუალო რგოლის ხელმძღვანელების მონაწილეობით 12-15 მარტს ჩატარა სტრატეგიული დაგეგმვის სემინარი. ამ სამუშაო შეხვედრას დაესწრო 26 მონაწილე, მათ შორის იყვნენ სამინისტროს 11 დეპარტამენტის ხელმძღვანელები ან მრჩევლები, 7 სსიპ-ისა და საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლები. მონაწილეებმა გააკეთეს სამინისტორს ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი. განსაზღვრეს ხარვეზები, შეიმუშავეს იუსტიციის სამინისტროს განახლებული ორგანიზაციული სქემა, ასევე, სამინისტროს ღირებულებების, ხედვისა და მისიის სამუშაო ვარიანტები.

სტრატეგიული მიზნების დახვეწისათვის 2009 წლის 1-დან 8 აპრილამდე პერიოდში გაიმართა შეხვედრები მიზნობრივ ჯგუფებთან, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს შესაბამისი დეპარტამენტების, სამმართველოების და სააგენტოების წარმომადგენლებმა. შეხვედრის დროს დაზუსტდა სამინისტროს ის მიზნები და პრიორიტეტები, რომლებმაც სტრატეგიულ გეგმაში უნდა ჰპოვონ ასახვა.

15 აპრილიდან 23 მაისამდე პერიოდში დეპარტამენტების ხელმძღვანელების მიერ საქართველოს შეფასების ასოციაციის კონსულტანტებთან თანამშრომლობით შემუშავდა დეპარტამენტის სამოქმედო გეგმები, რომლებიც განსაზღვრავს კონკრეტულ აქტივობებსა და მათი შესრულების ვადებს თითოეული დეპარტამენტისათვის.

იუსტიციის სამინისტრომ გამართა კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრთან სტრატეგიულ გეგმასთან დაკავშირებით მათი მოსაზრებების მისაღებად. გეგმის პროექტი მიეწოდა არასამთავრობო ორგანიზაციების, ადვოკატთა ასოციაციის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, პარლამენტის/სასამართლოების/სხვა დარგობრივი სამინისტროების წარმომადგენლებსა და მოქალაქეებს. 2009 წლის 11 ივნისს სამინისტროს ხელმძღვანელობამ კონსტრუქციული დისკუსია გამართა დაინტერესებულ მხარეებთან სტრატეგიული გეგმის პროექტზე. ამასთან, გეგმის სამუშაო ვერსია განთავსდა სამინისტროს ვებგვერდზე, რითაც ყველა დაინტერესებულ პირსა თუ ორგანიზაციას მიეცა შესაძლებლობა, გასცნობოდა დოკუმენტს და თავისი მოსაზრებები, შენიშვნები და რეკომენდაციები წარედგინა სამინისტროსათვის. დაინტერესებული მხარეების მხრიდან გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით, სტრატეგიულ გეგმასა და სამოქმედო გეგმებში შეტანილი იქნა ცვლილება-დამატებები.

მისამართი: ბახტრიონის ქ. 16. 0194, თბილისი, საქართველო
ტელ: (99532) 366 191, 367 191 ფაქსი: (99532) 366 191
ელ.ფოსტა: gea@evaluation.org.ge
ვებ-გვერდი: www.evaluation.org.ge